დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 19.11.2025 № 235 ბრძანებით

მოდიფიცირებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 26.02.2026 № 61 ბრძანებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სარკინიგზო გადაზიდვები

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი : ირაკლი ბიწაძე, ანა ნონიკაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია: T: 0322 20 54 24
e-mail: info.rtc.2016@gmail.com

თბილისი
2026 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** სარკინიგზო გადაზიდვები; Railway Freight Operations
2. **სარეგისტრაციო ნომერი -** 10.11.1

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო გადაზიდვებში; Secondary Vocational Qualification in Railway freight

4. **მიზანი -** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

5. **კვალიფიკაციის დონე**

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე

6. **კლასიფიკაციის აღწერა**

6.1 ISCED კოდი და აღწერა: 1041 - ტრანსპორტის მომსახურებები; *"შეისწავლის გემის, მატარებლის, ავტომობილის, საფრენი აპარატის და სხვა ფორმის ტრანსპორტის ოპერირებას, ნავიგაციასა და მართვას."*

6.2 ISCO კოდი: 1324 - მომარაგების, დისტრიბუციისა და მონათესავე სფეროს მენეჯერები; 4323 - ტრანსპორტირების სპეციალისტები; 8312 - რკინიგზის დამმუხრუჭებლები, დამსიგნალებლები და მეისრეები

6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 49.10.0 - რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტი, საქალაქთაშორისო; 49.20.0 - რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი; 49.31.0 - საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი; 52.21.0 - სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება; 52.24.0 - ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა; 52.29.0 - ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები.

7. **დასაქმების შესაძლებლობები -** სარკინიგზო გადაზიდვების სპეციალისტს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე (ოფისი ან/და ღია ცის ქვეშ). სამრეწველო ორგანიზაციებში რომლებსაც გააჩნიათ სარკინიგზო მისასვლელები (პორტები, ფაბრიკა ქარხნები და სხვა)

8. **დაშვების წინაპირობა**

სრული ზოგადი განათლება;

საბაზო ზოგადი განათლება - *იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;*

9. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო
2. წაიკითხოს ნახაზები და სქემები.
3. დაგეგმოს სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესი
4. შეასრულოს რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები
5. მიიღოს მონაწილება მატარებლის სადგურში მიღება-გაგზავნის პროცესში
6. მიიღოს მონაწილება რკინიგზის ტრანსპორტზე სატვირთო და კომერციული მუშობის ორგანიზაციაში
7. მიიღოს მონაწილეობა სადგურში სამანევრო მუშაობის ორგანიზებაში.

10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე	*უცხო ენაზე*	*მათემატიკური უნარ-ჩვევები და*		*დამოუკიდებლად*	*პიროვნებათშორისი*		*კულტურული*
სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	• განმარტავს ინვენტარის/ ხელსაწყოების ტიპებს, მარკას, დანიშნულებას, მუშა კვანძების გამართულობის შემოწმების ძირითად პრინციპებს და ექსპლუატაციის ძირითად წესებს;	• იცის ინვენტარის/ ხელსაწყოების ტიპები, მარკა, დანიშნულება, მუშა კვანძების გამართულობის შემოწმების ძირითადი პრინციპები და ექსპლუატაციის ძირითადი წესები;	✓		✓		✓			

	• აღწერს სამუშაო ადგილის და მუშაობის ძირითად პრინციპებს; • აღწერს პირადი უსაფრთხოების და შრომის დაცვის ძირითად წესებს; • ახდენს მატარებლების კონტროლს; • არჩევს სარკინიგზო ინსტრუქციებში გამოყენებულ ტერმინილოგიას; • იყენებს კომუნიკაციის საშუალებებს მატარებლის გატარების, მიღების და სამანევრო სამუშაოების წარმოების დროს; • იყენებს ხელის და ხმოვან სიგნალებს.	• იცის სამუშაო ადგილის და მუშაობის ძირითადი პრინციპები; • იცის პირადი უსაფრთხოების და შრომის დაცვის ძირითადი წესები; • იცის მატარებლების კონტროლი; • იცის სარკინიგზო ინსტრუქციებში გამოყენებული ტერმინილოგია; • იცის კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება, მატარებლის გატარების, მიღების და სამანევრო სამუშაოების წარმოების დროს; • იცის ხელის და ხმოვანი სიგნალები.								
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	• აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას/დახმარების გაწევას; • იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს; • იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს; • იცავს გარემოსდაცვით ნორმებს; • იცავს პროფესიულ ეთიკას.	• იცის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები • იცის ახლომდებარე სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო კოორდინატები • იცის საქართველოს სანიტარული კოდექსი • იცის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები • იცის პირადი ჰიგიენის წესები • იცის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი” • იცის შრომის დაცვის წესები	✓		✓		✓			

		• იცის სამანევრო სამუშაოების დროს გამოსაყენებელი გამაფრთხილებელი ნიშნები • იცის სამანევრო სამუშაოების დროს გამოსაყენებელი გამაფრთხილებელი ნიშნების განლაგების წესები • იცის საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ • იცის გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები • იცის საქართველოს კანონი - „საქართველოს ტერიტორიაზე და ქვეყნის საზღვრებზე სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების“ შესახებ • იცის გარემოს დაცვითი ღონისძიებები • იცის გარემოს დაცვითი მოთხოვნები • იცის ეთიკის ნორმები								
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები	• ახასიათებს რკინიგზის სადგურებს; • აღწერს სადგურში მანევრების წარმოების ხერხებს; • ახდენს სატვირთო მატარებლის კლასიფიცირებას ფორმირების გეგმის პირობების მიხედვით; • ახდენს სატვირთო მატარებლის	• იცის რკინიგზის სადგურები; • იცის სადგურში მანევრების წარმოების ხერხები; • იცის სატვირთო მატარებლის კლასიფიცირებას ფორმირების გეგმის პირობები; • იცის სატვირთო მატარებლის იდენტიფიცირება ნუმერაციის სისტემის მიხედვით; • იცის მატარებელთა მოძრაობის მართვის პრინციპები;	✓		✓		✓			

	იდენტიფიცირებას ნუმერაციის სისტემის მიხედვით; • აღწერს მატარებელთა მოძრაობის მართვის პრინციპებს; • განმარტავს სამატარებლო დისპეტჩერის როლს, მოვალეობებსა და უფლებებს მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციაში; • ქმნის ოპტიმალურ სამუშაო გეგმას.	• იცის სამატარებლო დისპეტჩერის როლი, მოვალეობები და უფლებები მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციაში; • იცის ოპტიმალურ სამუშაო გეგმაის შექმნა.							
რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები	• ახდენს კლიენტის რეგისტრირებას რკინიგზის ერთიან ელექტრონულ სისტემაში; • ავსებს განაცხადს გადაზიდვაზე; • ავსებს ვაგონების მიწოდების განაცხადს; • ახდენს განაცხადის აქტივიზაციას. • ახდენს გადაზიდვის დავალების რეგისტრაციას.	• იცის კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები • იცის ელექტრონული გადაზიდვის დავალების ფორმირების ინსტრუქცია • იცის ეთიკის ნორმები • იცის კლიენტის რეგისტრაციის წესები • იცის რეგისტრირებული მონაცემების შეცვლის წესი • იცის გადაზიდვის ღირებულების გამოთვლის წესები • იცის ტვირთის გადაზიდვის წესები • იცის რკინიგზის სატარიფო პოლიტიკა • იცის თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები • იცის ვაგონების მიწოდების განაცხადის შევსება	✓		✓		✓			

		• იცის ვაგონის ტიპების განსაზღვრის წესი • იცის განაცხადის „გათვლის“ წესი • იცის განაცხადის „ჩაწერის“ წესი • იცის დამატებითი ფაილის ატვირთვის წესი • იცის შაბლონის შექმნის და გამოყენების წესი • იცის გადაზიდვის დავალების რეგისტრაციის წესი • იცის გადაზიდვის დავალების დათვალიერების წესი • იცის ვაგონების მიწოდების კორექტირების წესი								
მატარებლის მიღება-გაგზავნის უზრუნველყოფა სადგურში	• ახდენს მოძრაობასთან დაკავშირებულ ცვლაში მომუშავე თანამშრომლების ინფორმირებას მატარებლის მოსვლის/გასვლის შესახებ; • ადგენს გადასარბენის სითავისუფლეს; • ამზადებს მატარებლის გაგზავნის მარშრუტს; • უზრუნველყოფს თავისუფალ ლიანდაგზე მატარებლის მიღების მარშრუტის გამზადებას; • უზრუნველყოფს მატარებლის მიღება-გაგზავნას სატელეფონო კავშირით მატარებელთა მოძრაობისას;	• იცის მატარებელთა მოძრაობის და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია • იცის თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები • იცის რკინიგზის ერთიან ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის წესები • იცის სადგურის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესები • იცის სადგურის ტექნიკური განმკარგულებელი აქტი • იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია • იცის მატარებლის მიღება/გაგზავნის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები	✓		✓		✓			

	• უზრუნველყოფს მატარებლის მიღება-გაგზავნას სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალების მოქმედების შეწყვეტისას; • უზრუნველყოფს აღმდგენი, სახანძრო და დამხმარე ლოკომოტივის მოთხოვნის შემთხვევაში საჭირო მოქმედებებს; • უზრუნველყოფს სამეურნეო მატარებლების და სპეციალური თვითმავალი სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის გაგზავნას რკინიგზის ლიანდაგებზე და ხელოვნურ ნაგებობებზე სამუშაოების წარმოებისას; • წარადგენს მატარებელს ტექნიკურ გასინჯვაზე; • ამუშავებს გასაგზავნ/მისაღებ საბუთებს; • ამაგრებს სადგურში შემოსულ მატარებელს სამუხრუჭე ბუნიკებით; • გეგმავს და უზრუნველყოფს სამანევრო მუშაობის წარმოებას; • გადააბარებს ცვლას.	• იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები • იცის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესები • იცის საქართველოს სარკინიგზო კოდექსი • იცის სანატურო ფურცლის შევსების ინსტრუქცია • იცის ჟურნალების წარმოების წესი • იცის სამუშაო ინვენტარის ვარგისიანობის შემოწმების წესი • იცის ხელსაწყოთა ტიპები და რაოდენობა • იცის ჩანაწერების წარმოების წესი • იცის გადაბარების წესი								
სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე	• აღწერს გადაზიდვის სახეებს; • ჩამოთვლის გზავნილების კლასიფიკაციას;	• იცის გადაზიდვის სახეები; • იცის გზავნილების კლასიფიკაცია;	✓		✓		✓			

	• აღწერს დატვირთვის და ტვირთის გაგზავნის ოპერაციებს; • აღწერს მსვლელობის გზაზე განსახორციელებელ ოპერაციებს; • აღწერს ოპერაციებს ტვირთის დანიშნულების სადგურზე მისვლისას და დაცლისას; • აღწერს მისასვლელ ლიანდაგებზე ვაგონების მიწოდება-გამოტანის ოპერაციებს; • აღწერს საერთაშორისო გადაზიდვისას - საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების ხელშეკრულებით (СМГС) დადგენილი გადაზიდვის საბუთების წარმოების წესს; • განმარტავს ადგილობრივი გადაზიდვისას ტვირთის გადაზიდვის საბუთის წარმოების წესს; • აღწერს სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროს წარმოების წესს; • აღწერს საერთო ფორმის აქტის წარმოების წესს; • აღწერს დამტებითი მომსახურების დარიცხვის ბარათის წარმოების წესს;	• იცის დატვირთვის და ტვირთის გაგზავნის ოპერაციები; • იცის მსვლელობის გზაზე განსახორციელებელი ოპერაციები; • იცის ტვირთის დანიშნულების სადგურზე მისვლისას და დაცლისას საჭირო ოპერაციებს; • იცის მისასვლელ ლიანდაგებზე ვაგონების მიწოდება-გამოტანის ოპერაციები; • იცის საერთაშორისო გადაზიდვისას საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო გადაზიდვების ხელშეკრულებით (СМГС) დადგენილი გადაზიდვის საბუთების წარმოების წესი; • იცის ადგილობრივი გადაზიდვისას ტვირთის გადაზიდვის საბუთის წარმოების წესი; • იცის სადგურის მომსახურების და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვროს წარმოების წესი; • იცის საერთო ფორმის აქტის წარმოების წესი; • იცის დამტებითი მომსახურების დარიცხვის ბარათის წარმოების წესი; • იცის ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბუთების შეტანის წესი;								

	• აღწერს ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბუთების შეტანის წესს; • აღწერს გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშების წესს; • განმარტავს ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტების გამოყენების წესს, • აღწერს ტვირთების სახეობის, მანძილის და გადაზიდვის მიმართულების მიხედვით გზავნილების კლასიფიკაციას; • ამოწმებს ტვირთის მასის განსაზღვრის სისწორეს; • ამოწმებს გადაზიდვის დოკუმენტში მითითებულ მონაცემებთან შედარებით ვაგონის/კონტეინერის დატვირთვის შესაბამისობას.	• იცის გადაზიდვის ღირებულების გაანგარიშების წესი; • იცის ტარიფების მაკორექტირებელი კოეფიციენტების გამოყენების წესი, • იცის ტვირთების სახეობის, მანძილის და გადაზიდვის მიმართულების მიხედვით გზავნილების კლასიფიკაცია; • იცის ტვირთის მასის განსაზღვრის სისწორე; • იცის გადაზიდვის დოკუმენტში მითითებულ მონაცემებთან შედარებით ვაგონის/კონტეინერის დატვირთვის შესაბამისობა.								
სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურში	• უზრუნველყოფს სამანევრო მუშაობის ხელმძღვანელობას • უზრუნველყოფს ცვლაში მომუშავე მანევრებთან დაკავშირებულ თანამშრომლების ინფორმირებას შესასრულებელი სამუსაოების შესახებ; • სადგურში მანევრების დაწყების წინ ადგენს ლიანდაგების და საისრო	• იცის მატარებელთა მოძრაობის და სამანევრო მუშაობის ინსტრუქცია; • იცის თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები; • იცის რკინიგზის ერთიან ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის წესები • იცის სადგურის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესები • იცის სადგურის ტექნიკური განმკარგულებელი აქტი	✓		✓		✓			

	გადამყვანების მდგომარეობას; • ამზადებს სამანევრო მარშრუტს და უზრუნველყოფს მანევრების სწორად წარმოებას; • მანევრების წარმოებისას აკონტროლებს მანევრებთან დაკავშირებული მუშაკების მიერ თავის მოვალეობების შესრულებას რეგლამენტის მიხედვით; • მანევრების დროს უზრუნველყოფს მანევრებისთვის წინასწარ განსაზღვრული სიჩქარეების დაცვას; • უზრუნველყოფს მანევრების წარმოებას სადგურის დამხარისხებელ გორაკზე, შესაბამის სამანევრო ლიანდაგებზე და მანევრებს მთავარ. • სადგურის დამხარისხებელ გორაკზე და შესაბამის სამანევრო ლიანდაგებზე უზრუნველყოფს ვაგონების დამაგრებას; • უზრუნველყოფს სადგურებში სამანევრო მუშაობაობის ორგანიზებას სადაც არ არის საისრე პოსტების მორიგეები; • გადააბარებს ცვლას.	• იცის სიგნალიზაციის ინსტრუქცია • იცის სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები • იცის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების წესები • იცის საქართველოს სარკინიგზო კოდექსი • იცის ჟურნალების წარმოების წესი • იცის სამუშაო ინვენტარის ვარგისიანობის შემოწმების წესი • იცის ხელსაწყოთა ტიპები და რაოდენობა • იცის ჩანაწერების წარმოების წესი • იცის გადაბარების წესი								

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს ჯამური 13 კრედიტის მოცულობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. სავაგონო მეურნეობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 17თვე [1]
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 22 თვე

[1] **პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.**

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	**კრედ.**
ქართული ენა A2	**15**
ქართული ენა B1	**15**
	30

ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2
2.	უცხოური ენა	3
3.	მეწარმეობა	4
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება	2
		13

პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
5.	საინჟინრო ხაზვა	5
6.	მეტროლოგია	3
7.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
8.	რკინიგზის ზოგადი კურსი	4
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	3
10.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
11.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
ბლოკი 2		
12.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7
13.	სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	3
14.	რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები	3
15.	რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები	9
16.	მატარებლის მიღება-გაგზავნის უზრუნველყოფა სადგურში	10
17.	სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე	9
18.	სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურში	15
		77
სულ		**90**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 144 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 26 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	**კრედიტი**
01 ქართული ენა A2	**15**
02 ქართული ენა B1	**15**
	30

ინტეგრირებული მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2.	მათემატიკური წიგნიერება	7

3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4.	მოქალაქეობა	6
5.	სპორტი	2
6.	ესთეტიკა	1
		30

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
7.	უცხოური ენა	3
8.	მეწარმეობა	4
		7

პროფესიული მოდულები	
ბლოკი 1	
საინჟინრო ხაზვა	5
მეტროლოგია	3
გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
რკინიგზის ზოგადი კურსი	4
ზოგადი ელექტროტექნიკა	3
საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2
მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3
ბლოკი 2	
სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	**7**
სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	3
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები	3
რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები	9
მატარებლის მიღება-გაგზავნის უზრუნველყოფა სადგურში	10
სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე	9
სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურში	15
	77
სულ	**90**

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები	2		
უცხოური ენა	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
რაოდენობრივი წიგნიერება	2		დისტანციური
ინფორმაციული წიგნიერება	2		დისტანციური
პროფესიული მოდულები			
ბლოკი 1			
საინჟინრო ხაზვა	5		
მეტროლოგია	3		
გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1		
რკინიგზის ზოგადი კურსი	4		დისტანციური
ზოგადი ელექტროტექნიკა	3		
საზეინკლო ოპერაციების შესრულება	2		
მასალათმცოდნეობის საფუძვლები	3		
ბლოკი 2			

სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	7		დისტანციური
სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	3	✓	
რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები	3		დისტანციური
რკინიგზით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები	9	✓	
მატარებლის მიღება-გაგზავნის უზრუნველყოფა სადგურში	10	✓	
სატვირთო და კომერციული მუშაობის ორგანიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე	9	✓	
სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურში	15	✓	
სულ კრედიტები	**90**		

12. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;

• ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

13. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 90 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.
კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - - სარკინიგზო გადაზიდვები; Railway Freight Operations (სარეგისტრაციო ნომერი - 10.11.1)მიხედვით.

16. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქართველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები :

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;

- სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ირაკლი ბიწაძე
	ანა წონიკაშვილი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი	შოთა მარგიშვილი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი	მანანა მოისწრაფიშვილი